

შპს „იგატუ“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა


2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „იგატუ“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ქვივალენტები	683665	730924	480369
სავაჭრო მოთხოვნები	3858387	3144659	2003562
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	85124	82228	125390
მარაგები	3726756	2940798	2230973
_შპს პროდუქცია, საქონელი	2788645	1669024	2025955
_სხვა მარაგები	938111	1271774	205018
საინვესტიციო ქონება			
გაცემული სესხები	141700	155100	271600
სხვა მიმდინარე აქტივები		76305	461399
სხვა არამატერიალური აქტივები	442	535	629
ძირითადი საშუალებები	885486	129524	307596
სხვა გრძელვადიანი აქტივები	806891	737891	
სულ აქტივები	10188451	7997964	5881518
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	851673	1104550	1003022
საგადასახადო ვალდებულებები	16677		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	4250		9340
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	603411	776373	730163
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6153791	4152163	1980470
სხვა ვალდებულებები	12847	2355	2155
სულ ვალდებულებები	7642649	6035441	3725150
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	843113	50000	50000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1702689	1912523	2106368
სარეზერვო კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	2545802	1962523	2156368
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10188451	7997964	5881518

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

შპს „იგატუ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2022 წ.	2021 წ.
ნეტო ამონაგები	11528222	11919120
საქონლის გაყიდვიდან	11481737	11880817
მომსახურების გაწევიდან	46485	38303
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9958612	-10294543
საერთო მოგება	1569610	1624577
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-286745	-251496
ცვეთა და ამორტიზაცია	-51301	-55605
საპროცენტო შემოსავალი:	51357	29796
საპროცენტო ხარჯი :	-688282	-342591
იჯარის ხარჯი	-37959	-34080
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-252218	-443969
სულ საოპერაციო ხარჯები	-1265148	-1097945
საოპერაციო მოგება	304462	526632
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-2870	-18621
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	86081	124869
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	387673	632880
მოგების გადასახადი	-88219	-124867
მოგება/(ზარალი)	299454	508013
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	299454	508013
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1962523	2156368
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-474210	-683700
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-35078	-18780
კაპიტალის სხვა ცვლილებები	793113	622
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2545802	1962523

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2022 წ.	2021 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1039186	-842964
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-121626	-585680
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1122686	1679684
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-38126	251040
სავალუტო კურსის ეფექტი	-9133	-484.99
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	730924	480369
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	683665	730924

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

1. კომპანიის შესახებ

შპს „იგატუ“, ს/ნ 412685054, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) დაარსდა 2012 წლის 14 ივნისს, მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელები და პარტნიორები არიან:

დირექტორი: ზაალი ჯანელიძე - პ/ნ 60002016034

პარტნიორი: იური აბულაძე - პ/ნ 60002001082

ძირითადი და დამატებითი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეორადი აკუმულატორების გადამუშავების შედეგად ფერადი ლითონის ჩამოსხმა და მისი ექსპორტი, ასევე კომპანიის დამატებით საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო ვაჭრობა საავტომობილო ზეთებით და აკუმულატორებით და გადაზიდვის მომსახურების გაწევა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. საქართველო, ქ. ქუთაისი, მ. ბროსეს ქუჩა #5ბ 9. კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.

მცირე საექსპლუატაციო რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი
	ი
	<u>2022 წ.</u>
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8844

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საქონლის რეალიზაცია:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოძინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები. ხელფასები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

3. მარაგები

2020, 2021, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქონელი	1 582 323	1 465 218	1 191 317
მზა პროდუქცია	1 206 322	203 806	834 638
სხვა მარაგები	938 111	1 271 774	205 018
სულ მარაგები	3 726 756	2 940 798	2 230 973

შპს „იგატუ“

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020,2021,2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	3 858 387	3 144 659	2 003 562
გადახდილი ავანსები	50 411	80 013	61 873
მისაღები პროცენტები	34 713	2 215	63 517
გაცემული სესხები	141 700	155 100	271 600
სულ მოთხოვნები	4 085 211	3 381 987	2 400 552

5. ფული და ფულის ექვივალენტები

2020,2021,2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული სალაროში	14 215	48 634	40 315
ფული ბანკში	669 450	679 093	440 054
საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა		3 197	
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	683 665	730 924	480 369

კომპანიის ფული ბანკში განთავსებულია სს საქართველოს ბანკის და სს ტერა ბანკის საბანკო ანგარიშებზე.

6. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

2021,2022 წელს კომპანიის შემოსავალი შემდეგია:

	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	11 481 737	11 880 817
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	46 485	38 303
სულ შემოსავალი	11 528 222	11 919 120

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2021, 2022 წელს ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2022	2021
მიწოდების ხარჯი	48 892	26 989
საგადასახადო ხარჯი	6 025	279 907
სოციალური დანარიცხები	5 139	4 378
საბანკო ხარჯი	49 534	41 354
საკანცელარიო და ინტერნეტის ხარჯი	787	736
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	114 158	62 958
წარმომადგენლობითი ხარჯი	0	0
დაზღვევის ხარჯი	1 895	2 175
სხვა ხარჯები	25 788	25 472
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	252 218	443 969

8. მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ამ შეფასების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.